



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2014 წლის 16 ივლისის
 № 1234 დადგენილებით
მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2018 წლის 2 აპრილის
 № 01-05-04/95 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მევენახეობა და მეღვინეობა
Viticulture And Wine Production

ფაკულტეტი

აგრარულ მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
Faculty of Agricultural Sciences and Bio Systems Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი მარიამ ხომასურიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

აგრარული მეცნიერებების მაგისტრი Master of Agricultural Sciences <i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში</i>
--

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული სასპეციალიზაციო გამოცდა. გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://www.gtu.ge/study/index.php გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
--

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS). სასწავლო კომპონენტი - 75 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი 45 კრედიტი.

ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა.

სტუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებგვერზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი.

პირველ სემესტრში სტუდენტი სწავლობს ერთ 5 კრედიტიან, ორ 10 კრედიტიან, ერთ 5 კრედიტიან არჩევით საგნებს.

მეორე სემესტრში, ერთ 5 კრედიტიან, ერთ 6 კრედიტიან, ერთ 10 კრედიტიან საგნებს და ერთ 4 კრედიტიან არჩევით საგანს და სამაგისტრო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს, რომელიც შეფასებულია 5 კრედიტით.

მესამე სემესტრში სტუდენტი სწავლობს ორ 8 კრედიტიან, ერთ 4 ოთხ კრედიტიან საგნებს და თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმს, რომელიც შეფასებულია 10 კრედიტით.

მეოთხე სემესტრში სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა მოიცავს 30 კრედიტს.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის კვალიფიციური კადრები. სტუდენტს შეასწავლოს დარგის ის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რომელიც აუცილებელია აღნიშნულ სფეროში მოღვაწე სპეციალისტისათვის: ვენახის გაშენება და მოვლა; ყურძნის მოყვანისათვის აუცილებელი წესები და პირობები; საქართველოში და მსოფლიოს მევენახეობის რეგიონებში კულტივირებული ყურძნის ჯიშები; საქართველოსა და მსოფლიოს ენოლოგიური ტრადიციები; ღვინის, ბრენდისა და ყურძნის არყის წარმოებისას მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები, საჭირო მასალები და მოწყობილობები; ყურძნისა და ყურძნისეული წარმომომბის ალკოჰოლური სასმელების ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობა; პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრების ანალიზის მეთოდები; ალკოჰოლური სასმელების სენსორული შეფასება; სამეცნიერო სამუშაოების განხორციელება.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

- 1. ცოდნა და გაცნობიერება** –მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში აქვს ღრმა და სისტემატური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. ვენახის გაშენების, მოვლის, ყურძნის მოყვანის წესების ცოდნა და გაცნობიერება. ყურძნისეული წარმომომბის ალკოჰოლური სასმელების წარმოებისას მიმდინარე პროცესების, გამოყენებული მოწყობილობების, მასალების ცოდნა და ტექნოლოგიური თავისებურებების გაცნობიერება. ნედლეულისა და მზა პროდუქციის ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობის, ანალიზის მეთოდების და ორგანოლექტიკური თვისებების ცოდნა. ღვინის დაყენების მსოფლიოს ტრადიციული ტექნოლოგიების გაცნობიერება.
- 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – ახალ გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში მოქმედება: ვენახის მოვლისათვის საჭირო

ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ნედლეულის, მასალის და მზა პროდუქციის ხარისხის შეფასება; წარმოების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და რისკების შეფასება; ყურძნის ტკბილის, ღვინის და მისგან დამზადებული სხვა ალკოჰოლური სასმელების სერტიფიკაციისა და ხარისხის დადგენისათვის საჭირო პარამეტრების განსაზღვრა; ცალკეული პროდუქციის დამზადებისას რთველის ოპტიმალური პერიოდის დადგენა, ყურძნის ტექნიკური სიმწიფის გაანგარიშება; ნედლეულისა და პროდუქციის ორგანოლექტიკური შეფასება; საწარმოო და სხვა სახის დეგუსტაციების ორგანიზება. კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის ახალი ორიგინალური გზების ძიება: ყურძნის მოყვანისა და მისგან ალკოჰოლური სასმელების დამზადების პროცესში თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა; ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების კონკრეტულ სიტუაციებში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო სტრატეგიის განსაზღვრა. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.

3. **დასკვნის უნარი** – მეღვინეობისა და მევენახეობის დარგის საწარმოო და სამეცნიერო სფეროში, რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; ტექნოლოგიური პროცესების მართვის და ამოცანათა გადაწყვეტის პროცესში კრიტიკული აზროვნება, უსაფრთხოების შეფასება, სავარაოდო შედეგების და რისკების განსაზღვრა, პრობლემებზე ადექვატური რეაგირება; პროდუქციის სრულყოფისა და ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინება, ახალი რესურსების საჭიროების განსაზღვრა; პროდუქციის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრებისა და ორგანოლექტიკური შეფასების სინთეზის საფუძველზე, პროდუქციისა და ნედლეულის ხარისხზე კვალიფიციური დასკვნის ჩამოყალიბება; დარგის მარეგულირებელი დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის განსაზღვრა;
4. **კომუნიკაციის უნარი** – მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; ნებიმიერი ტიპის, მასშტაბის, ინფორმაციის ლაკონურად, გასაგებად ქართულ და უცხოურ ენაზე გადმოცემა; პროფესიული დოკუმენტაციის შედგენა და წარდგენა; არსებული მდგომარეობის, რისკების შეფასების და პერსპექტივების განსაზღვრის საფუძველზე, გაწეული საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირებისათვის, კოლეგებისათვის, ზეპირი და წერილობითი ანგარიშის მომზადება და წარდგენა.
5. **სწავლის უნარი** – სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა; საწარმოსა და მეურნეობაში ახალი რესურსების გამოვლენის, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინების, ინოვაციური მეთოდების დანერგვისა და პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით, უახლესი ლიტერატურის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების მოძიება, შესწავლა და გამოყენება; ექსპერიმენტული კვლევისას უახლესი ლიტერატურულ წყაროებზე მუშაობა. პროფესიული ზრდის სტრატეგიის დაგეგმვა და სწავლის მიმართულეების განსაზღვრა.

ღირებულებები – ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და

ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა; პროფესიული ღირებულებებიდან გამომდინარე, დარგის განვითარების პერსპექტივის არგუმენტაცია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტში; კოლეგებთან თანამშრომლობით პროფესიასთან დაკავშირებული ფასეულობების და ახალი ღირებულებების დამკვიდრება.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

4. **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

5. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2 მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

6. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში

უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

7. **ინდუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

8. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

9. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

10. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

11. **ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

12. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.

13. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

14. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

ღვინის საწარმოს კუთვნილი ვენახები; კვლევითი და საცდელი მეურნეობები; ღვინის, ცქრიალა ღვინისა და ბრენდის საწარმოები; კვლევითი და აკრედიტებული ლაბორატორიები; დროებითი სადევუსტაციო კომისიები; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ „სამეცნიერო კვლევით ცენტრი“; სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სადევუსტაციო კომისია“.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში .

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 19

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1.1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური),	არ გააჩნია	5			
1.2	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული),					
1.3	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული),					
1.4	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული).					
2.1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ გააჩნია		5		
2.2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული),					
2.3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა(გერმანული),					

2.4	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)					
3	ვაზის ჯიშები, დამოკიდებულება გარემო ფაქტორებისადმი, ინტეგრირებული დაცვის სისტემები	არ გააჩნია	10			
4	ენოქიმია და ანალიზის მეთოდები	ღვინის წარმოება, მოწყობილობები და მასალები		6		
5	ღვინის წარმოება, მოწყობილობები და მასალები	არ გააჩნია	10			
არჩევითი საგნები						
6	ნიადაგის გეომორფოლოგია და კლასიფიკაცია	არ გააჩნია	5			
7	აგრარული წარმოების ქიმიზაცია და გარემოს დაცვა	არ გააჩნია				
არჩევითი საგნები						
8	მევენახეობა- მეღვინეობის მენეჯმენტი და ღვინის მარკეტინგი	არ გააჩნია		4		
9	მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება	არ გააჩნია				
10	მევენახეობა და აგროტექნოლოგია	ვაზის ჯიშები, დამოკიდებულება გარემო ფაქტორებისადმი, ინტეგრირებული დაცვის სისტემები		10		
11	ქვევრის ღვინო და ღვინოპროდუქციის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიები.	ღვინის წარმოება, მოწყობილობები და მასალები, ენოქიმია და ანალიზის მეთოდები			8	
12	ბრენდისა და ყურძნის არყის წარმოება, მოწყობილობები და მასალები	ღვინის წარმოება, მოწყობილობები და მასალები; ენოქიმია და ანალიზის			8	

		მეთოდები				
13	ღვინის სენსორული შეფასება, არომატები და დაავადებები	ღვინის წარმოება, მოწყობილობები და მასალები; ენოქიმია და ანალიზის მეთოდები			4	
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ გააჩნია		5		
	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	პროსპექტუსი			10	
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	კოლოქვიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	+	+		+		
1.2	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)	+	+		+		
1.3	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)	+	+		+		
1.4	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	+	+		+		
2.1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	+	+		+	+	
2.2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	+	+		+		
2.3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა(გერმანული)	+	+		+	+	
2.4	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	+	+		+	+	
3	ვაზის ჯიშები, დამოკიდებულება გარემო ფაქტორებისადმი, ინტეგრირებული დაცვის სისტემები	+	+				

4	ენოქიმია და ანალიზის მეთოდები	+	+			+	
5	ღვინის წარმოება, მოწყობილობები და მასალები	+	+	+			
6	ნიადაგის გეომორფოლოგია და კლასიფიკაცია	+	+	+			
7	მევენახეობა და აგროტექნოლოგია	+	+				
8	მელვინეობისა და მევენახეობის რეგულირება	+	+	+	+		
9	მევენახეობა- მელვინეობის მენეჯმენტი და ღვინის მარკეტინგი	+	+	+	+		
10	ქვევრის ღვინო და ღვინოპროდუქციის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიები	+	+		+		
11	აგრარული წარმოების ქიმიზაცია და გარმოს დაცვა	+	+			+	
12	ბრენდისა და ყურძნის არყის წარმოება, მოწყობილობები და მასალები	+	+			+	
13	ღვინის სენსორული შეფასება, არომატები და დაავადებები	+	+	+	+		
კვლევითი კომპონენტი:							
	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	+	+	+	+	+	+
	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	+	+	+	+	+	+
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	+	+	+	+	+	+

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	LEH12412G1-P LEH12212G1-P LEH12612G1-P LEH12812G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	5/125			45				1	1	78
2	LEH12512G1-LP LEH12312G1-LP LEH12712G1-LP LEH12912G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) დარგობრივი ტექსტის	5/125	15		30				1	1	78

		თარგმანის თეორია და პრაქტიკა(გერმანული) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)										
3	AGC21810G1-LSR	ვაზის ჯიშები, დამოკიდებულება გარემო ფაქტორებისადმი, ინტეგრირებული დაცვის სისტემები	10/250	15	15			45		1	1	173
4	BRS22510G1-LR	ენოქიმია და ანალიზის მეთოდები	6/150	15				45		1	1	88
5	MAP19610G1-LPR	ღვინის წარმოება, მოწყობილობები და მასალები	10/250	15		15		45		1	1	173
		არჩევითი საგანი										
6	AGC21910G1-LS	ნიადაგის გეომორფოლოგია და კლასიფიკაცია	5/125	30		15				1	1	78
7	EET29110G1-LP	აგრარული წარმოების ქიმიზაცია და გარემოს დაცვა	5/125	30		15				1	1	78
		არჩევითი საგანი										
8	BUA32110G2-LS	მევენახეობა- მეღვინეობის მენეჯმენტი და ღვინის მარკეტინგი	4/100	15	15					1	1	68
9	MAP19710G1-LS	მევენახეობისა მეღვინეობის და რეგულირება	4/100	15	15					1	1	68
10	AGC22010G1-LSR	მევენახეობა და აგროტექნოლოგია	10/250	15	15			45		1	1	173
11	MAP19810G1-LSR	ქვევრის ღვინო და ღვინოპროდუქციის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიები	8/200	28	20			20		1	1	130
12	MAP19910G1-LR	ბრენდისა და ყურძნის არყის წარმოება, მოწყობილობები და მასალები	8/200	28				40		1	1	130
13	MAP10110G2-LP	ღვინის სენსორული შეფასება, არომატები და დაავადებები	4/100	15		15				1	1	68

პროგრამის ხელმძღვანელი

მარიამ ხომასურიძე

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.

ვახტანგ უგრეხელიძე

ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ქვარცხავა

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის
16 ივლისის № 1234 დადგენილებით

მოდიფიცირებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
27.02.2018 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა